წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 3 შაური. | ტელეფონი № 76. | სამშაბათი ოქტომბრის 10—(23) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღრის . . . 2 აბაზი
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღრის ერთი აბაზი
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და ხალამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 145 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 145

გულდათუთქულნი: მამა კონსტანტინე სპირდონის ძე და დედა ნინა ლუკას ასული ქვარიანები, ბებია ივლიანა სიმონის ასული, ძმები: ლევან და დავით და დაი ელენა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას ქართული გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფის

კოტიკოს (კოტესას.)

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე ნაშუადღევის 5 საათზე, ქვარიანების ქუჩა, საკუთარი სახლი. დაკრძალვა სამშაბათს 10 ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი: ბაბილინა მჭეიძისა, ფედოსია ენუქიძისა, ოლღა მგალობლიშვილისა, ალექსანდრე, მელხისედექ და რაჟდენ გრიგოლიები, მენიკი გრიგოლიასა, სიმონ ენუქიძე, ალექსანდრე მგალობლიშვილი ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 5 ამა ოქტომბერს ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და ძვირფასი პირველი ექვსის დისწული, მეშვიდის მულის შვილი, დანარჩენთა ცოლის დის შვილის, ქართული გიმნაზიის მე-5 კლ. მოწაფე

კონსტანტინე (კოტე) კონსტანტინეს ძე ქვარიანი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე, თავის საკუთარ სახლში ქვარიანების ქუჩაზედ. დაკრძალვა სამშაბათს 10 ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.

ღრმათ დამწუხრებულნი ელისაბედ ანდრიას ასული სვანიძისა მარიამ ანდრიას ასული და ფილიპე გრიგოლის ძე მგალობლიშვილი ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხუთ ამა ოქტომბერს ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი პირველთა ძმის შვილის შვილი ხოლო უკანასკნელის ცოლის ძმის შვილის შვილი ქართული გიმნაზიის მე 5 კლასის მოწაფე

კოტიკო (კოტე) კონსტანტინეს ძე ქვარიანი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, თავის საკუთარ სახლში ქვარიანების ქუჩაზე. დაკრძალვა სამშაბათს 10 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.

**პეტროგრადის** სამხედრო სამკურნალო აკადემიის **ქართველ სტუდენტთა სათვისტომო** ღრმა მწუხარებას უცხადებს მშობლებს, ნათესავებს და ამხანაგ-მეგობრებს პეტროგრადში ტრაღიკულათ გარდაცვლილ ხსენებულ აკადემიის სტუდენტის

კალისტრატე (ჩოკო) პავლეს ძე ცქირიასას.

# განცხადება

## ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ამა წლის 30 ექვნისთვის სხდომაზედ დაადგინა:

1). გადიდებული იქმნეს მტკიცე ფასები გამხმარ ხილზე საერთოდ 20 მანეთიდან 25 მანეთამდე.

2.) გადიდებული იქმნეს მტკიცე ფასები ლობიოზე 10 მანეთიდან 15 მანეთამდე შემდეგ ნაირად

ა.). წვრილი ლობიო,, ძაძა“ სხვა და სხვა არეული და ძველი მოსავლის 12 მანეთი

ბ.) ადგილობრივი „წითელი“ და“ თეთრი ლობიო 14

ვ.) ჭრელი მსხვილი ლობიო „ჩიტის კვერცხა “15

ვ.)] გაუქმებული იქმნეს მტკიცე ფასები ტყემლის ტყლაპზე, და ნება დართული იქმნეს თავისუფალი ვაჭრობა ტყლაპზე

დადგენილება ეს შედის ძალაში დღიდან გამოცხადებისა,

ზემოხსენებული დადგენილების დამრღვევი იქმნება პასუხის გებაში მიცემული 29 მუხ. სისხლის სამართ. წესდ. დროებ. მთავარ.

თავჯდომარე კომიტეტის ა. ჯაფარიძე.

ვანქაფილების საქმის მწარმოებელი მ. სეერსპუტოვსკი.

ძმ. ქორქოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

## დარბევის შესახებ.

„სხვადასხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველიაო“, ეს სიტყვები სწორეთ საქართველოზეა გამოჭრილი.

რამდენი უსამართლოება დატრიალდა მის თავზე?! ოთხასი ათასი საუკეთესოო ვაჟკაცი ძუძუდან მოიგლიჯა და დიდი რუსეთის დაცვას სხვერპლად შესწირა! და ამ ამაგის ნაცვლად რა მოგვაგეს?! დარბევა, აწიოკება! ვის უნდა ვინ არის გამკითხველი! შევჩივლოთ?!

ყველაზე მეტი უბედურება ის არის, რომ ამ საშინელმა, გამანადგურებელმა ამაწიოკებელმა მოძრაობამ ზოგიერთი ქართველი ჯარისკაცებიც ჩაითრია.

შვილმა დედა გაიმეტა და ძმამ ძმა! მეტი ზნეობრივი დაცვა იქნება-ღა?! და ამ ზნეობრივ ზიანს შეედრება განა ქონებრივი ზარალი?!

ძველად ქართველი თავის და ძმათა, მშობელთა და შვილთა დასაცავად შემოსეულ მტერს გმირულად უხვდებოდა და თავგანწირვით ებრძოდა. სად-ღაა ის მამულიშვილობა და ის გმირობა?! ნუ თუ პოლიტიკური უფლების დაკარგვას თან გაყვა სხვა სიკეთეც?!

არ დავიჯერებ. შეუძლებელია თანშობილ თვისების გულიდან ამოფხვრა. მწამს, რომ ქართველთა დიდი უმეტესობა დღესაც იგივე გმირია, იგივე კეთილშობილია და მას, მაშასადამე, სძაგს მჩაგვრელი, დამარბეველი ამწიოკებელი!

მხოლოდ შენაწევრება, ორგანიზაცია გვაკლია!

ქართველნო! შეკავშირდით! იდეეით თავს დედა-ქალაქის დაცვა! დაეხმარეთ კეთილშობილი და განათლებული შვილნიც რუსეთისა და უზრუნველყაეით აწიოკებისაგან თანამემამულენი!

მაშ დაივიწყეთ დროებით მაინც ჯგუფური გულისთქმანი! იცოდეთ, რომ ძალა ერთობაშია!

ვასილ წერეთელი.

## მიმოხილვა.

**დამფუძნებელი კრება.**

უაღრესათ შეუფერებელ დროში ხვდება რუსეთი დამფუძნებელ კრებას. ქვეყანა უკიდურეს კრიზისს განიცდის. ანარქია შინაურ ცხოვრებაში. გარეშე მტერი ბობოქრობს, დედა ქალაქი დაკარგვის საფრთხეშია!

მიუხედავათ ამისა დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის აღწერა შეუჩერებლათ სწარმოებდა. იგი შიდა გუბერნიებში და განაპირა ქვეყნებში, სადაც დიდი ტეხნიკური დაბრკოლება არ იყო, უკვე დასრულდა. საქართველოში მოათავეს ყოველივე წინასწარი სამზადისი, ხოლო თუ მთელ ამიერკავკასიაზე ვილაპარაკებთ, ჩამორჩენილი არიან თათრული და სომხური გუბერნიები. (ბაქოსი, ერევნის და განჯის).

ქართველებისათვის სერიოზული კითხვა ისმება: როგორ მივეგებოთ დამფუძნებელ კრებას? თუ რუსეთის დემოკრატიის იმედი გვაქვს და გვწამს, რომ მას ჩვენს სატკივარს ვაგრძნობინებთ-შევაგნებინებთ. მაშინ საჭიროა ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა მოსკოვში სათქმელი წინდაწინვე საქართველოში გვამცნონ, რომი იგი სრულიად საქართველოს ხალხის ნების ყოფად იქცეს.

მრავალჯერ გაგვიცხადებია და დღესაც ვამბობთ, რომ სოციალურ-კლასურათ წარმოდგენა ქართველი ხალხის სურვილსა, ჩვენთვის დაღუპვას განამზადებს. საქართველო უნდა იქმნეს წარმოდგენილი როგორც ეროვნულად მთლიანი ერთეული, ერთ მთავარ იდეის, საქართველოს შინაურ თვით მყოფელობის მთხოვნელი. ჩვენ სრულიადაც არ გვაინტერესებს პარტიული გამარჯვება, ფანატიკურათ ვერ ავენთებით დამფუძნებელ კრების არჩევნებში, არამედ ჩვენი ახლობელი და შორეული წადილია, რომ ქართველი ერის ბუნებრივ მისწრაფებას მიეცეს განხორციელება. დღევანდელი ამბები დღიურ ცხოვრებისგან შექმნილი ფაქტები გვიმტკიცებენ, რომ რუსეთი სრულიად არ არის მომზადებული სოციალურ გარდაქმნისთვის. მით უმეტეს სოციალური ფაქტორი ბუნებრივ მოძრობას ვერ გამოიწვევს, გამოძახილს ვერ შეიხვედრებს საქართველოში, სადაც ყველაფერი დამახინჯებულათ მოგვევლინა. ამით ის გვინდა ვსთქვათ, რომ საქართველო კლასურ დარაზმის იდეიალებს ვერ გამოეკიდება ამჟამათ მხოლოთ მომავალში თანდათანობით ევოლუციის და პირობების შექმნის მიხედვით მათ არ უარყოფს. საქართველოს დღეს აკლია ელემენტარი თავისუფლება. თუ მას ადამიანური სიცოცხლე სწადია, უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური თვითმდგომარეობა უნდა დაიმკვიდროს. ეს არის სალი მრწამსი მთლიან საქართველოს შინაარსიან და უკეთეს ცხოვრებისა. რუსეთის სახელმწიფურ დამფუძნებელ ყრილობას საქართველო უნდა წარუდგეს ერთის თქმით, და გადასცეს შეერთებულ ქართველთა ნების ყოფა. უამისოთ რუსეთის დამფუძნებელ კრებისგან არაფერს მოველით.

* *
*

**დარბევის გამო.**

ყოველი მომხდარი ამბავი და მით უმეტეს ისეთი დიდ მნიშვნელობის, როგორც ქალაქის დარბევა არის, გამოკვლეულ უნდა იქმნას საფუძვლიანად ნამდვილ მიზეზების მიხედვით.

ქუთაისის დარბევის შესახებ ბევრგვარი მოსაზრება მოიყვანეს. ზოგი პროვოკაციას აბრალებს მთელ უბედურებას, მაგრამ დოკუმენტლათ ჯერ არაფერია განხილულ-გამოძიებული. მოსულ ელემენტის მიმართ საყვედური უნაყოფოა, გაცილებით სანუგეშო მდგომარეობაში ვიქნებოდით მაშინ, რომ დავვარწმუნებდენ ქალაქი აიკლეს მოსულებმა და მასში ადგილობრივ მკვიდრთ არავითარი აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათო. მაგარი ის არის, რომ აქაური მცხოვრებნიც გამოვიდენ გაბოროტებულ ჯარის კაცთა ხელმძღვანელ წამქეზებლებათ. დემაგოგები ყველგან მოიპოვებიან. ვინმე კაკულია, რომელიც თავის თავს მეუმრავლესე სოც. დე—ს უწოდებდა, წინ უძღოდა მტვრეველთა ბრბოს. მცხოვრებთა ერთი ნაწილიც თანაგრძნობით უყურებდა რბევას და ნაძარცვ საქონელს იტაცებდა და ყიდულობდა.

სამწუხაროთ რბევას და ანარქიულ გამოსვლებს, როგორც სჩანს საქართველოში ნიადაგი შექმნია, წყალი ამღვრეულა. დღეს ყოველი მოქალაქის პირადი თავისუფლება საფრთხეში ჩავარდა. რა დაგვიფარავს მწარე განსაცდელისგან? აი, საერთო კითხვა. ჩვენის აზრით აქ პარტიული სხვა და სხვაობა მოსატანი არ არის. ვერც ერთი პარტია, რაც უნდა ძლიერი არ იყოს იგი ვერ შესძლებს წარმომდგარ სიძნელეს საკუთარ ენერგიით თავი გაართვას და ხალხს უპატრონოს. კითხვა უნდა დავსვათ, როგორც საყოველთაო სახალხო. გვაღონებს, როცა ჩვენი ხალხის, თუნდა უმნიშვნელო ნაწილი გამოდის ანარქიულ და მრბეველის ინსტინქტის გამამჟღავნებლათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უმოქმედოთ ვიყოთ და სათანადო შესაფერ ზომებს არ მივმართოთ, უდიდესი სიფრთხილე წინ დაკვირვება დი გამოცდილების თანხლებაა საჭირო დარბევისგან უზრუნველყოფის საქმის მოწყობაში.

ყველა ვიტყვით, რომ ქალაქის თავდაცვა ნამდვილ სანდო კეთილ სინდისიერ პირთ უნდა მიენდოთო.

ვინ იქნება ეს ჩვენგან ნდობით აღჭურვილი, რთული კითხვაა, მის გადასაჭრელათ ჩვენ სასურველათ ვსცნობდით პოლიტიკურ პარტიათა და რევოლუციურ ორგანიზაციათა შეერთებულ ბჭობის შემუშავდეს და ერთგვარ დავადგეთ. წინ და წინ იმას ვიტყვით, რომ ქალაქის თავდაცვა უნდა მიენდოს უეჭველათ ადგილობრივ, ორგანიზაციას, რომელიც შეგნებით წარუძღვება მოვალეობას წამოყენებული კითხვა გადაუდებელია, შიში ისევ ტრიალებს ქალაქში, „იუნკრები წავლენ და უარეს დღეს დაგაყენებთო“ ისმის ბოროტ ენებისგან ამიტომ საჩქაროთ შეუდგეთ გადამწყვეტ ზომების გამონახვას.

საფრთხე დიდია. გვაშფოთებს ის მოვლენა, რომ ქალაქის რბევის სოფელში არ გადავარდეს. ლეჩხუმში აგრალური უწესოება დაწყებულა მიწებს ინაწილებენ, ლეჩხუმის საზღვარზეა კახეთი, საიდანაც იყო ცნობა, რომ აგრალური უწესოება ხდებაო. თუ ასეთ. ხასიათის მოძრაობს დასაწყისშივე ბოლო არ მოეღის იმ შემთხვევაში ყველანი დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საქართველოს ხალხს დიდი ტრაღედია დაატყდება თავს. სოფლის ანარქიას მოეღის წვენს შეგნებით უნდა ვებრძოლოთ. ახლა არ არის იმის დრო, რომ ვეძიოთ დამნაშავე, თუ ვინ შეუწყო ხელი აგრალურ უთანხოების აღმოცენებს, დღეს ყველას დაუძახოთ ერთ სულთანისკენ და საქართველოს ავაშოროთ ნახევარი სიკვდილი, რომელსაც ანარქია გვპირდება.

* *
*

**სომხური მადა.**

ჩვენს დედა ქალაქ თბილისში სწარმაებს სომეხთა ეროვნული ყრილობა. ყრილობაზე დიდათ თავი ისახელა „დაშნაკცუტუნის“ პარტიამ. ხსენებულ პარტიის ფრაქციის წევრი ნ. აღაბალიანი, რომელმაც დაშნაკცუტუნის პარტიის სახელით მოხსენება გააკეთა ამბობს: „კავკასიის ერთაშორის სოლიდარობის განმამტკიცებლათ და ყოველგვარ დავის გამრჩევლათ უნდა იყვენ, რუსები; არის აგრეთვე პროექტი ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის შესახებ, სადაც აღაბალიანი უპირატესობას რუსებს აკუთვნებს.

რით ავხსნათ ასეთი სულის კვეთება სომხურ ეროვნულ ყრილობისა? რუსთადმი ერთგულებით? რუსების ერთი ნაწილი ამიერ კავკასიაში ამ ბოლოხანს უკმაყოფილო ელემენტათ მოგვევლინა, რისაც ხელი შეუწყო საქართველოს ეკლესიის სამართლიან უფლებების აღდგენამ. სჩანს, სომხებს სწადიათ ამ უკმაყოფილოთ მიკედლონ და მოკავშირე გაიჩინონ. დაშნაკცუტუნის მრწამსში სხვანაირი ლოღიკა არ არის. როდის დასჭირდა რუსებს სომხების მფარველობა? ან ვინ მისცა სომხებს იმის უფლება, რომ ამიერ კავკასიის ერთა შორის რუსებისთვის უპირატესობის და პირველობის უზრუნველსაყოფველათ იმოქმედონ? ჩვენ მონურ ფსიქოლოგიასთან გვაქვს საქმე, დაშნაკცუტუნმა თვითონ არ იცის რას წარმოადგენს და რა მიზანს ემსახურება. ვორონცოვის მფარველობა მოკლებული ახლა სხვებში ეძიებს თავშესაფარს. მაგრამ უფრო განსაცვიფრებელი და აღსაშფოთებელი დაშნაკცუტუნის მოსაზრებაში ის არის, სადაც ნათქვამია: **„ამიერ კავკასიაში სომხობა სახელმწიფური ერია და ასეთად უნდა იქმნეს აღსარებულიო.**

(ხაზი ჩვენია) საიდან შეიძინეს სომხებმა ეს უფლება? ნუთუ ჩარჩობით დატაცებულ ქართველთა მამულების და საკუთრების? ძლიერი სუსტი ყოფილან იურიდიულ სფეროში.

სომხური მფლობელობა ამიერ კავკასიაში და თუ გინდათ საქართველოში სრულიად არ ამტკიცებს სომეხთა პოლიტიკურ უფლებას, როგორც არ ამტკიცებს

ინდოელების უფლებას ქ. ლონდონზე, სადაც მათ დიდძალი უძრავი ქონება ეკუთვნით. შეიძლება რევოლუციამ გაახელმწიფა ამიერ კავკასიაში სომხები, მაგრამ ეს ვერ მოხდებოდა, რევოლუციის დროშაზე უწერია, მხოლოთ ერთი თავისუფალი თვით გამორკვევა და არა შეხიზნულ ერებისადმი სხვის ეროვნულ ტერიტორიაზე პოლიტიკურ უფლების მინიჭება. დაშნაკცუთუნის გამოსვლა ვპირველესათ მიმართულია ქართველების სამტროთ, რაც ქართველ ერს ეცოდინება. ამას წინათ სომხური სოც დემოს გაზ „ფაიქარი“ იმასაც კი ამტკიცებდა, რომ თბილისი სადაც სხვა ეროვნება სჭარბობს ქართველების ეროვნულ სამმართველოს ფარგალში არ უნდა შევიდეს. „ფაიქარს“ არ ვკითხავთ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს თბილისი, ეს ისტორიულ დოკუმენტის და ისტორიულ პოლიტიკურ უფლების საქმეა. ამიერიდან ქართველ ხალხს ეცოდინება, რომ ყველა სომხობა დაწყებული სოც.-დემოკრატიდან და გათავებული შოვინისტ დაშნაკელებით კავკასიის ერთა შორის სიძულვილის ცეცხლს ანთებენ, სოლიდარობას ხელს უშლიან, რაც ჩვენის რწმენით მათ (სომხებს) უფრო ბევრათ ავნებს ვიდრე სხვებს.

ი. იმერელი.

# რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**სახალხო სამკითხველოები.**

**პეტროგრადი.** ოქტომბერს 5. სახალხო განათლების მინისტრს განუზრახავს 1918 წლისათვის სახალხო სამკითხველოების გასაძლიერებლად 36 მილ. მანეთის გადადება. აზრად აქვთ თითო სოფლის საზოგადოებაში თითო სამკითხველო დაარსონ. პირველად დახმარებას ამოუჩენენ 30 ათას სამკითხველოს.

**კერენსკი დეპუტატთა საბჭოში**

**პეტროგრადი.** ოქტომ. 4. ბანაკიდან დაბრუნდა. დღეს იგი დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტის ფარულ სხდომას დაესწრო.

**მიწადმოქმედების მინისტრი**

**პეტროგრადი.** ოქტომ. 4. საადგილმამულო მთავარ კომიტეტის თავჯდომარის ამხანაგი ს. მასლოვი დაინიშნა მიწათმოქმედების მინისტრად.

**ყაზახთა სამხედრო წრე**

**ორენბურგი.** ოქტომ. 4. ახალ სამხედრო ატამანს ტუტოვს დიდის ამბით ჩააბარეს ბულავა. სამხედრო წრემ ჯარიდან ესაული ნავაევი გამორიცხა.

**მონგოლების მთავრობისათვის**

**პეტროგრადი.** ოქტომბერს 4. დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის თხოვნის თანახმად, მონგოლების მთავრობას 1 მილიონი მანეთი მიეცეს.

**მანეთიანის ღირებულების დაცემა**

**ჰელსინგფორსი.** ოქტომ. 5. მანეთიანის ღირებულება დაეცა. 100 მანეთი 120 მარკად ფასობს.

**რუსეთის კოოპერატორთა ყრილობა**

**მოსკოვი.** ოქტ. 5. სრულიად რუსეთის კოოპერატივების ყრილობამ მსჯელობა იქონია დამფუძნებელ კრების არჩევნებზე დამოუკიდებლად გამოსვლის შესახებ. ყრილობამ დაადგინა ფართედ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და ეცადნენ, რომ დამფუძნებელ კრებაზე რუსეთის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრების პირობების მცოდნე პირები მოხვდნენ.

**არჩევნების დაწყება**

**პეტროგრადი.** ოქტ. 5. მიღებულ ცნობების მიხედვით 50-ზე მეტ ოლქში დამფუძნებელ კრების არჩევნები გიორგობისთვის 2 დაიწყობა. არჩევნები დაგვიანდება განაპირა ოლქებში, რაც წინადვე იყო მოსალოდნელი.

**მღელვარება კიშინიევში**

**ოდესა.** ოქტ. 5. კიშინიევში მღელვარება დაიწყო. ბესარაბიის კომისარის განკარგულებით ცხენოსანთა ერთი პოლკი უკვე გაიგზავნა.

**მაღაზიების დაბეჭვდა.**

**ოდესა.** ოქტ. 5. ვოზნესენსკში უწესოებაა. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ბეჭდავს კერძო მაღაზიებს და პირველ საჭიროების ნივთების დუქნებს. საბჭომ სასურსათო კომიტეტი გადააყენა.

**ტუსაღების გაშოშვება**

**სარატოვი.** ოქტ. 5. პეტროვსკში ციხესა და სატუსაღო სახლებიდან პატიმარნი განთავისუფლეს.

**სამხედრო წესები ომსკში.**

**ომსკი.** ოქტ. 5. დარბევის თავიდან აცილებლათ ქ. ომსკში და მის სადგურზე სამხედრო წესები გამოცხადდა. ქუჩებში თავის მოყრა და კრებები აკრძალულია. თეატრები და გასართობები დაიხურა. ღამის 10 საათიდან დილის 5 მდე ქუჩაში გამოსვლა აკრძალულია.

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

დღეს რუსეთის მთავარბანაკის ცნობა არ მოგვსვლია.

**მომქმედი ლაშქარი.** ოქტომბრი 4. ფრონტზე დაძმობილების ცდას კომიტეტები და ჯარის სხვა და სხვა ნაწილები დიდის კიცხვით შეეგებნენ. უმაღლეს მთავარსარდლისაგან ბრძანება მოვიდა — პასუხის გებაში მიეცით ის, ვინც სამხედრო ბრძანებას არ ასრულებს და სხვასაც მოუწოდებს ბრძანების საწინააღმდეგოდ.

**ნორვეგიის გემების დაღუპვა.**

**ქრისტიანია.** ოქტ. 5. გამოაქვეყნეს ცნობა ნორვეგიის 2 გემის დაღუპვის შესახებ.

**მალვის საქმე და კაბინეტი.**

**პარიზი.** ოქტ. 4. გამოირკვა, რომ ნამინისტრალ მალვის საქმეში მთავრობას დიდი დაბრკოლება ელობება წინ. გაზეთები სწერენ, კაბინეტის მდგომარეობა შეირყაო.

**მოკავშირეების სესხი.**

**ნიუ იორკი.** ოქტ. 4. შეერთებულ შტატების მთავრობამ ინგლისს 25 მილიონი დოლარი ასესხა, რუსეთს — 50, საფრანგეთს — 20 და ბელგეთს 3 მილიონი.

**გერმანელთა მზადება საზამთროდ.**

**კიშინევი.** ოქტ. 4. რუმინელთა გაზეთების ცნობით გერმანელები საზამთრო კამპანიისთვის ემზადებიან. ყოველდღე ვარშავაში დატვირთული მატარებლები მოდის. თივის, ქატოს და ქერის სიცოტავეს არად იჩნევენ. მის მაგიერ საშემოდგომოდ გაცვენულ ფოთლებს იყენებენ.

**ბრძოლა ბალტიის ზღვაზე.**

**პეტროგრადი.** ოქტ. 5. ჩვენი ბატარეების განადგურების შემდეგ მტერი კუივასტის რეიდში შემოიჭრა. კრეისერი „ადმირალი მაკაროვი“, „კანონერკები“ და საესკადრო ნაღმოსნები მინზუნდში გაჩერდნენ და არხს იცავდნენ. მათ რამდენჯერმე გააჩაღეს სროლა მტრის გემებთან, რომელნიც კესსის ქვიშიან ადგილებისაკენ რამდენჯერმე გამოიჭრნენ. ჩვენს გემებს მტრის მფრინავები ყუმბარებს უშენდნენ. ოქტომბრის 3 მინზუნდზე რამდენიმე „ცეპელინი“ იყო. გერმანელთა სამხედრო გემები გუშინ კვლავ უშენ ნენ კუნძულ დაგოს ყუმბარებს. კუნძულთან გერმანელთა აუარებელი ნაღმის ამომკრები ნავები მოქმედებდნენ. მოონზუნდის ჩრდილოეთის გასავალში ტაგალახტის ბუხტასთან გამოჩნდა გერმანელთა კრეისერი „მოლტკე“, „კაიზერის“ ტიპის 2 ჯავშნოსანი და 3 წყალქვეშა, კესარის ქვიშიან ადგილების დასავლეთით კი — 20 ნაღმოსანი და 20 ნაღმის ამომკრები ნავი და მრავალი სხვა ზომისა და დანიშნულების ნავები; რიგის ყურესთან გამოჩნდა 2 თუ მეტი ჯავშნიანი „კენიგის“ ტიპის გემი, 6 სუბუქი კრეისერი, ბევრი ნაღმოსანი, წვრილი გემები და 2 წყალქვეშა.

ფინის ყურეში დაგგარტის „კაიზერის“ ტიპის 3 ჯავშნოსანი იყო. ამნაირად ბალტიის ზღვაზე გერმანელთა 3 — 4 ესკადრა მოქმედებს და 10 — 12 ჯავშნოსნისაგან შემდგარი მე-5 ესკადრაც ბალტიის ზღვაზეა ე. ი. მტრის ფლოტის ორი მესამედი ჩვენს წინააღმდეგ წამოსულა. ლვინობისთვის 4 მოონს გერმანელები ზღვიდან და ჰაერიდან გაშმაგებით უშენდნენ ყუმბარებს.

# უკანასკნელი დეპეშები.

სამხედრო მინისტრის განკარგულებით პრაპორშჩიკთა შკოლებში მიღება ეხლავე უნდა შესწყდეს. ეს შკოლები უნდა დაიხურონ, რაწამს უკვე მიღებული პირები სწავლას დაამთავრებენ.

სამხედრო სასწავლებლები კი უწინდელის წესით იმოქმედებენ. იქ მიიღებენ მხოლოდ პირველ ხარისხის განათლებით აღჭურვილ პირებს.

—

პორტუგალიის მინისტრ-პრეზიდენტის მოადგილესაგან კერენსკის სამადლობელი დეპეშა მოუვიდა იმ დეპეშის საპასუხოდ, რომლითაც კერენსკი პორტუგალიის რესპუბლიკის გამოცხადებიდან ერთი წლის შესრულებას ულოცავდა.

—

დრ. მმართველობის დადგენილებით ის ჯარის-კაცნი, რომელნიც 1897 წ. და 1898 წ. იყვნენ სამხედრო ბეგრის მოსახდელათ გაწვეულნი, ოქტომბრის ათიდან სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი იქნებიან. ხელსაწერენ: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დაუმადლესი მთავარი სარდალი ა. კერენსკი და სამხედრო მინისტრი გენ. ვერხოვსკი.

—

შრომის სამინისტროს აზრათ აქვთ გამოსცეს დებულება, რომელიც შემარიგებელ კამერას იძულებით ხასიათს აძლევს. იძულებითი წესით მოდავეთ შორის მოწვეულ იქნება არბიტრაჟი. აგრეთვე ფიქრობენ იძულებითი წესების გამოცემას გაფიცვის შესახებ.

—

დონეცის ბასეინის წარმოების შესახებ სამთამადნო სამრეწველო საბჭომ მოხსენება გააკეთა. საბჭო აღნიშნავს, რომ მოკლე ხანში მოსალოდნელია სრულიად შეჩერდეს დონეცის წარმოება: ამას გარდა სტატისტიკურ ცნობით ამტკიცებენ, რომ 1917 წ. ენკენისთვეში ქვანახშირის დამუშავება 100 მილიონ ფუთით ნაკლები ყოფილა, ვიდრე 1916 წლის ენკენისთვეში.

—

იალტაში დიდძალი ხალხი ჩამოდის ახლო მახლო ადგილებიდან. ამის გამო ქალაქში სანოვაგე აღარ ყოფნით და სიმშილი დაიწყო. პრესა მოუწოდებს მცხოვრებთ, ნუ ჩამოდიან დამშეულ ქალაქში.

გერმანელთა წინსვლის გამო მოსკოვში მეტად უიმედოთ უყურებენ მდგომარეობას. გერმანელთა ოპერაციები დასრულებულათ მიაჩნიათ ლაპარაკობენ ფინეთის ჩამოშორებაზე და პეტრეს ქალაქის პირდაპირ თავდასხმაზე.

—

ალექსეევმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ პეტროგრადს ამჟამათ დიდი საფრთხე არ მოელის. გზები გაიყინება შიმშილობა ჩამოვარდება და გერმანელები გაზაფხულზე ადრე ვერ იქნებიან დედაქალაქშიო.

# კაკი წერეთლის ჩამოსვლა.

9 ოქტომბერს ქუთაისს ეწვია რუსეთის რევოლუციის ერთი ბელადთაგანი ირაკლი (კაკი) გიორგის ძე წერეთელი.

დილიდანვე საზოგადოება სადგურისკენ გაეშურა. მიჰქონდათ დროშები სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან და პროფესიონალური კავშირებიდან. ყველა ქუჩაზე სახლებიდან გადმოკიდეს წითელი დროშები და უკიდიენ თანამემამულის გამოსვლას.

დილის 7 საათზე სადგურის ბაქანი საზოგადოებით აივსო. ხალხი თან და თან ზღვავდება. 8 საათზე სადგურის წინ ქუჩა საზოგადოებით გაჭედა. გრიალებს 30-ამდე დროშა.

დილით რამდენიმე ნაცნობ-მეგობარი კაკისა რიონის სადგურზე გაემგზავრა შესახვედრებლათ.

საათის ცხრის ნახევარზე მატარებელმაც მოაღწია. გაისმა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი. თბილისიდან კაკის თან ჩამოყვა ევგ. გეგეჭკორი, მუშათა საბჭოს წარმომადგენელი და სხვანი.

კაკი მატარებლიდან ჩამოიყვანა მეგობრებმა. ხელით გამოიყვანეს სადგურის წინ ქუჩაზე, სადაც დროშების შუაში ამართული იყო ტრიბუნა.

აქ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვა გუბერნიის კომისარმა გრ. გიორგაძემ, ქალაქის თავმა და. ს. კალანდარაშვილმა, ბეჭვდითი სიტყვის კავშირის წარმომადგენელმა ტრ. სალაიამ, სალდათთა საბჭოს წარმომადგენელმა გოლდმანმა, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ია-ეკალაძე-ცინცაძემ და სხვ. ყველა სიტყვის შემდეგ მომღერალთა გუნდი გალობდა მარსელიეზას და გაისმოდა ტაშისა და ვაშას ძახილი.

სიტყვების დასრულების შემდეგ ტრიბუნაზე ადის თვით კაკი და სიტყვას ამბობს. სამწუხაროთ ქარისა და საზოგადოების ხმაურობის გამო სიტყვები ბევრს არ გაუგონია.

კაკიმ დაასრულა სიტყვა თუ არა, მივარდენ ჯარის კაცები და ხელით აიყვანეს. აქედან დაიძრა პროცესია და გაეშურა თბილისის ქუჩისკენ. კაკი ხელით მიჰყავთ. გზაზე მარსელიეზის მღერიან.

პროცესია მიუახლოვდა რეალურ სასწავლებელს. აქ ხსენებული სასწავლებელის მოწაფეები ქუჩაში ჩაემწკრივებიათ. პროცესია აქ შეჩერდა.

რეალური სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს მასწ. კროტკოვი.

საყურადღებოა კროტკოვის სიტყვის დაბოლოვება, სადაც ამბობს: „გაუმარჯოს განთავისუფლებულ რუსეთს, გაუმარჯოს თქვენს საყვარელ სამშობლოს, საქართველოს“ — ო. რეალურ სასწავლებელთან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტის სახელით კაკის ესალმება კონსტანტინე ლომთაძე, იგი იგონებს 1783 წლის დადებულ ტრაქტატს და ამბობს, რომ ის არის ქართველი ხალხის ხელშეკრულობა რუსეთის მეფეებთან, რომელთაც უხეში ძალით ქაღალდის ნაფლეთებათ აქციესო. ლომთაძის სიტყვას საზოგადოება ტაშისცემით ფარავს. აქვე სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა მელიტონ კელენჯერიძემ.

პროცესია აქედანაც დაიძრა. გზა-გზა სახლების მეორე სართულებიდან ყვავილებს აბნევენ, გაისმის აივნებიდან ტაშის ცემა.

ს.-ფედერალისტების ბიუროსთან სიტყვა წარმოსთქვა ალ. წერეთელმა.

აქედან პროცესია გაეშურა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებისაკენ.

აქაც გამართეთ ტრიბუნა. აქ ტრიბუნაზე ადის თბილისის მუშათა საბჭოს წევრი მგელაძე და ამხანაგებს მოუწოდებს, რომ თქვენ გაბართებთ ბრძოლისაგან დაქანცულ გმირს, რომელსაც მოუარეთ და მიანიჭეთ მშვიდად განკურნება, რომ თავის საქმეს უფრო ენერგიულათ შეუდგესო.

მგელაძის შემდეგ სიტყვას ამბობს მუშათა საბჭოს სახელით გრ. ერატაძე. იგი მწუხარებით აღნიშნავს, ქუთაისში მომხდარი ამბების გამო, ძვირფას კაკის ვერ შეხვდენ ღირსეულათო.

სიტყვებს ამბობენ კ. ჭუმბურიძე და სალდათთა საბჭოს თავმჯდომარე პრაპ. გეგელაშვილი. გეგელაშვილი ჯარის კაცებს მიმართავს რუსულათ და სთხოვს მტკიცეთ დაიცვან რევოლუციით მოპოებული თავისუფლება, რასაც მთელი ენერგია შესწირა კაკი წერეთელმაო.

დასასრულ ტრიბუნაზე ადის თვითონ კაკი. გაისმის დაუსრულებელი ტაშის ცემა.

კაკი, როგორც საზოგადოებას, ისე ჯარის კაცებს მოუწოდებს მხნეთ დაიცვან რევოლუციის სიძლიერე. ნუ ექნება ადგილი რაიმე არა-სასურველ გამოსვლებს, რაც კორნილოვისებურ კონტრ-რევოლუციონერთა ნიადაგს შეუმზადებსო. დაასრულა კაკიმ სიტყვა და გაისმა დაუსრულებელი ტაშის ცემა. მუშათა და სალდათთა საბჭოსთან კაკის მოართვეს ავტომობილი. იგი ავტომობილში ჩაჯდა და გაეშურა თავის დეიდის კატო ნიკოლაძის ქალის ბინაზე.

ხალხი სრულ 12 საათზე დაიშალა.

# ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ რადგანაც გუშინ ჩვენი გაზეთის ასოთ ამწყობები კაკი წერეთლის ჩამოსვლას დაესწრენ, დღეს გაზეთი მხოლოდ ორ გვერდზე გამოდის.

✦ **პროვაკაცია.** ბოროტი ელემენტები კიდევ ჩნდებიან. როგორც ხმები დადის დაზარალებული ვაჭრების სახელით გამოდიან და ჯარის-კაცებს ურჩევენ, რომ ის სავაჭროები, რომელნიც რბევა-ნგრევას გადაურჩნენ, დაარბიონ. ასეთი პირები ჯარის კაცებს ფულსაც კი პირდებიან. ამ გარემოებას დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს და არა სასურველი პირები აღკვმოს.

✦ **ქუთაისის მესამე გიმნაზია.** სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ ხსენებული სასწავლებლები თანახმად სრულიად საქართველოს საეკლესიო ყრილობის დადგენილებისა სრულ უფლებიან 8 კლასიან გიმნაზიათ გადააკეთა და სახელათ დაარქვა სრულიად საქართველოს საკათალიკოსოს უწყების ქუთაისის მესამე გიმნაზია.

✦ **სამღვთისმეტყველო უმაღლესი კურსები.** [illegible] მესამე გიმნაზიასთან სამღვდელო პირთა მოსამზადებლად დაარსდება ორ წლიანი უმაღლესი სახუთის მეტყველო კურსები.

✦ **ქუთათელის საბჭო.** ყოვლად უსამღვდელოესი ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი ამ დღეებში მოიწვევს იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ყრილობას ქუთათელის საბჭოს ამოსარჩევათ.

✦ **ქალაქთა დარბევის წინააღმდეგ.** სრულიად რუსეთის საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული წესის თანახმად ყოველ ქალაქში უნდა შესდგეს საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები საბჭოების, პარტიების, მუშათა და ჯარის-კაცთა ორგანიზაციების, პროფესიონალური კავშირების, ადგილობრივ თვითმართველობათა და სხვა. ასეთმა კომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ დარბევა არ მოხდეს.

✦ **მასწავლებლის არჩევა.** სასულიერო სასწავლებლიდან ქუთაისის მესამე გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლათ არჩეულ იქმნა ია ეკალაძე-ცინცაძე.

✦ **გუბერნიის სასურსათო კომიტეტი** გადავიდა ახალ ბინაზე, სადაც მოთავსებული იყო საადგილ მამულო ბანკი. ამ ჟამად ქალაქისა და გუბერნიის სასურსათო კომიტეტები ერთ ბინაში არიან მოთავსებული.

✦ **პოლკების ნაციონალიზაცია.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა აუცილებლათ სცნო ნაციონალური პოლკების შედგენა. ადგილობრივი პოლკები უნდა შევსოს იმ ეროვნების ჯარის კაცებით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ესა თუ ის პოლკი. უცხო ეროვნების ჯარი გაგზავნილ იქნებიან სხვა ადგილებში. ეროვნული პოლკების შედგენა მით უფრო ხელ საყრელია, რომ ასეთ პოლკებში თავის ნებით გამოცხადდებიან დეზერტირები, რომელთა რიცხვი ამ ჟამად დიდია.

✦ **შანტაჟი.** როგორც გადმოგვცეს იმ ვაჭრებთან, რომელთა სავაჭროები არ დაურბევიათ, მიდიან ვიღაც ჯარის კაცების ტანისამოსში გამოწყობილნი და ეუბნებიან, რომ შენი მაღაზია მე გადაარჩინეო და ფულს სთხოვენ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

✦ **კანდიდატურა დამფუძნებელ კრებაზე** როგორც დანამდვილებით გავიგეთ საფრანგეთში მყოფ რუსის ჯარს რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის იქ მყოფ ოფიცრის გიორგი ევგენის ძის ჯინორიძის კანდიდატურა წამოუყენებია.

✦ **კაკი წერეთელი.** გუშინ დილის მატარებლით თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა კაკი (ირაკლი) გიორგისძე წერეთელი.

✦ **მოხელეთა კავშირის კრება.** 8 ოქტომბერს ქუთაისში დანიშნული იყო ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეების კავშირის კრება, მაგრამ, რადგანაც ქუთაისში სამხედრო წესებია გამოცხადებული, შემდეგისათვის გადაიდო.

✦ **განცხადება.** რადგანაც ქ. ქუთაისში ვიღაც უცნობი პირები უსაბუთოთ შედიან მშვიდობიან მცხოვრებთა ბინებში და ჩხრეკას ახდენენ, მუშათა და სალდათთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სისხლის სამართლის საგამომძიებლო კომისია წინადადებას აძლევს სახლებისა და ბინების პატრონებს, რომ ის პირები, რომელთაც ხსენებული კომისიიდან ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული მოწმობა არ ექნებათ, არამც და არამც სახლში არ შეუშვან გასაჩხრეკათ, თუ ასეთი პირები გამოჩნდენ, ეს დაუყონებლივ უნდა ეცნობოს ხსენებულ კომისიას.

7 ოქტ. 1919 წ. ქ. ქუთაისი.

**სისხლის სამართლის საგამომძიებლო კომისია.**

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ზ. კვირკელია